ხელშეკრულება № 21

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფელ საცხენისი 19 სექტემბერი 2019წელი

ერთის მხრივ, „შპს მკითხველი უნივერსალი“ (შემდგომში -მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თეონა მჟავანაძის სახით და მეორეს მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ საცხენისის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნათია კანდელაკის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

- ხელშეკრულების საგანია ზარები
- CPV (44423100)

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 510.00(ხუთას ათი) ლარს.

2.2.ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულებას მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშ სწორება

3.1.საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშ ფაქტურის გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.5 საგარანტიო მომსახურება განისაზღვრება მიწოდებულ საქონელზე გამოწერილი საგარანტიო ტალონის მიხედვით, მასში მითითებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

მუხლი4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი სამუშაოს შესრულებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან უახლოეს ათი დღის ვადაში

.მუხლი5. მხარეთაუფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხისინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველ ს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო სამუშაო

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო სამუშაოს ან მისი ნაწილის შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ი ს ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში,მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუაღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხის მგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების

დასრულების თანავე.

მუხლი8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმისწარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდ აგაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი11. გადასახადები და დაბეგვრა

შემსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზ ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან , ორი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ საცხენისის საჯარო სკოლა	შპს მკითხველი უნივერსალი
ს/კ226527835	ს/კ 402025401
ს/ს საქართველოს ბანკი	თი ბი სი ბანკი
	mkitkhveli@yahoo.com
ა/ა GE95BG0000000928502500GEL	ა/ნ GE36TB7937536080100004
გარდაბნის რ.ნი. სოფ:საცხენისი	ქ.ქუთაისი : ჭავჭავაძის 33
ტელ:577924344	ტელ: 579545454

ხელმოწერა ——— /ნ.კანდელაკი /

ხელმოწერა _____ / თ.მჟავანაძე/

დანართი N1

1. შესყიდვის ობიექტია შემდეგი:

#	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	მთლიანი ღირებულება
1	BR-804 ელ ავტომ.ყუთი 6-იანი გარე	ცალი	1	22,75 ლარი	22,75 ლარი
2	ციფრ. ტაიმერული რელე 67DDT9 (Pulse, Pr-16, LCD, AC220V, 16A)	ცალი	1	321.69ლარი	321.69ლარი
3	ავტომატური ამომრთველი AB2000 CITY 4.5кA "C" 1P 16A	ცალი	1	16.67ლარი	16.67ლარი
4	ავტომატური ამომრთველი AB2000 CITY 4.5кA "C" 1P 25A	ცალი	1	16.67ლარი	16.67ლარი
5	ჩამრთველი(NO/Not Fixed/AC220V,3A/AC125V,6A/Red/d12mm/ Metal)	ცალი	1	9.80 ლარი	9.80 ლარი
6	კაბელი 1x1,5mm (NYA)	ცალი	2	0,99ლარი	1,98ლარი
7	ელ.სადენი (2X1,5mm/Cu)	ცალი	4	1,96,ლარი	7,84ლარი
8	პლასტმასის მარყუჟი 3.6X300(PEOPLE)	ცალი	4	0.20ლარი	0.80ლარი
9	ზარი Bell UC4 200 220V	ცალი	1	111,80ლარი	111,80ლარი
სულ		ცალი	16		510ლარი

რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით

„მიმღები“ „მიმწოდებელი“